დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ექსპლუატაციის ფაზაზე

შპს “აჭარისწყალი ჯორჯია”

შუახევი ჰესი

აპრილი 2025

Rev E

გამოცემის და შესწორების ჩანაწერი

Revision #	მოამზადა	შეამოწმა	დაამტკიცა	თარიღი	მიზანი
A	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	ნარეშ თელგუ - ჰესის დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	აპრილი 4, 2017	კრედიტორების მიერ დამტკიცების მიზნით
B	ნინო დიასამიძე - CSR მენეჯერი	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	სექტემბერი 30, 2019	კრედიტორების მიერ დამტკიცების მიზნით
C	ნინო დიასამიძე - CSR მენეჯერი	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	იანვარი 29, 2020	კრედიტორების კომენტარების გათვალისწინების მიზნით
D	ნინო დიასამიძე - CSR მენეჯერი	რაკეშ ნაიკ - აღმასრულებელი დირექტორი	რაკეშ ნაიკ - აღმასრულებელი დირექტორი	17 თებერვალი, 2021	COVID-19 პანდემიის დროს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის აღწერა
E	ნინო დიასამიძე	სატიშ ბჰატ	სატიშ ბჰატ	1 აპრილი, 2025	ექსპლუატაციის ფაზაზე დღემდე დაგროვილი დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის პრაქტიკის ასახვა.

შინაარსი

1. შესავალი 6

2. პროექტის აღწერა 7

3. საკანონმდებლო მოთხოვნები 8

3.1 მიმოხილვა 8

3.2 საქართველოს კანონმდებლობა 8

3.3 საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მოთხოვნები 9

3.4 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები 10

3.5 საჯარო კონსულტაციები ევროკავშირის მოთხოვნების ფარგლებში 11

2.6 აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები 11

4. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ჩართულობის პროგრამა 14

4.1 ჩართულობის პროგრამა 20

4.2 ინფორმაციის გასაჯაროება 26

4.3 ფუნქციები და პასუხისმგებლობები 27

5. საჩივრების მექანიზმი 29

6. მონიტორინგი და ანგარიშგება 31

დანართი A: საჩივრის ფორმა 32

აკრონიმები და აბრევიატურა

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	შპს "აჭარისწყალი ჯორჯია"
BAP	ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა
CLO	თემთან ურთიერთობის ოფიცერი
CSR	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
DLRP	საარსებო გარემოს აღდგენის დეტალური გეგმა
EA	საგანგებო სიტუაციების სააგენტო
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
EBRD	ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბაკი
ESCO	ენერგო ბაზრის ოპერატორი
EU	ევროკავშირი
GNERC	საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული და წყამომარაგების მარეგულირებელი კომისია
GSE	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
HPP	ჰიდროელექტროსადგური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
km	კილომეტრი
kV	კილოვოლტი
LALRP	მიწის შესყიდვისა და საარსებო გარემოს აღდგენის გეგმა
MW	მეგავატი
NGO	არასამტავრობო ორგანიზაცია
PIC	საჯარო საინფორმაციო ცეენტრი
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SES	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი

1. შესავალი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ (შემდგომში AGL ან „კომპანია“) განახორციელა 187 მეგავატიანი სიმძლავრის შუახევი ჰესის მშენებლობა (შემდგომში „პროექტი“) მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებზე, აჭარის რეგიონში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. შუახევი ჰესის მშენებლობა დასრულდა 2019 წელს, ხოლო 2020 წლის მარტში პროექტმა დაიწყო კომერციული ოპერირება.

პროექტის თანამფლობელებია ქლინ ენერჯი ინვესტი (ნორვეგია) და ტატა ფაუერი (ინდოეთი), პროექტს ასევე აფინანსებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), და აზიის განვითარების ბანკი (ADB) ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც “კრედიტორები”. პროექტი მოქმედებს კრედიტორების გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

პროექტის ადრეულ ეტაპზე, 2011 წელს, კომპანიამ შეიმუშავა დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის პირველი გეგმა (SEP). დოკუმენტი ასახავდა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მეთოდებს, ინფორმაციის გასაჯაროების და ასევე, ასახავდა ძირითად დაინტერესებულ ჯგუფებს. მას შემდეგ SEP არაერთხელ გადაიხედა, რათა ასახულიყო პროექტში შეტანილი ცვლილებები მშენებლობის, ექსპლუატაციაში მიღების და ოპერირების ეტაპებზე. წინამდებარე SEP წარმოადგენს ოპერირების ეტაპის გეგმის განახლებულ ვერსიას, რომელიც მოიცავს წარსული ჩართულობის გამოცდილებიდან მიღებულ გაკვეთილებს და პროექტის მიმდინარე საჭიროებებს. იგი ასევე შეიცავს დაინტერესებულ მხარეთა განახლებულ სიას, რაც უზრუნველყოფს ჩართულობის პროცესის აქტუალურობასა და ეფექტიანობას. განახლებული SEP მოიცავს როგორც შუახევის ჰესის, ასევე, 35 კვ-იანი საჰაერო გადამცემი ხაზის (OTL) ჩართულობის ღონისძიებებს, რომელიც სხალთა ჰესს შუახევის ქვესადგურთან აკავშირებს. აღნიშნული SEP წარმოადგენს AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) მნიშვნელოვან კომპონენტს. გეგმა ყოველწლიურად გადაისინჯება AGL-ის მენეჯმენტის მიერ, რათა შენარჩუნდეს მისი შესაბამისობა AGL-ის, ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებთან. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ESMS-ს შეცვლა, შესაბამისად მოხდება SEP განახლდება ამ ცვლილებების ასახვის მიზნით

2. პროექტის აღწერა

შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა განხორციელდა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში და მისი დადგმული სიმძლავრე 187 მეგავატს შეადგენს (178 მეგავატიანი სადგური შუახევში და მცირე 9,8 მეგავატიანი სადგური მდინარე სხალთაზე). პროექტი მოიცავს ორ კაშხალს წყალსაცავებით და ერთ დამბას მდინარეებზე: აჭარისწყალი, სხალთისწყალი და ჩირუხისწყალი. წყალი ელექტროსადგურისკენ მიედინება მიწისქვეშა გვირაბების საშუალებით რომელთა ჯამური სიგრძე 37კმ-ს არემატება. შუახევი ჰესი მდებარეობს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე შუახევის მუნიციპალიტეტში. გამომუშავებული ელექტროენერგია ერთიან ეროვნული ქსელში ერთვის შუახევის ჰესიდან 220 კვ-იანი ბათუმი–შუახევი–ახალციხის გადამცემი ხაზის მეშვეობით, რომლის მშენებლობა განახორციელა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ („GSE“). მიუხედავად იმისა, რომ GSE-მ დაასრულა ბათუმი–შუახევის მონაკვეთის მშენებლობა, შუახევი–ახალციხის მონაკვეთი ჯერ კიდევ მშენებარეა. გარდა ზემოაღნიშნულისა, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ ააშენა 22.3 კმ სიგრძის ერთჯაჭვა 35კვ-იან ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „სხლათა-შუახევი,“ რომლის მეშვეობითან სხალთა ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უკავშირება შუახევი ჰესის ქვესადგურს. შუახევი და სხალთა ჰესების ელექტროენერგია ჩართულია GSE-ის საკუთრებაში არსებულ 220კვ-იან ქსელში.

შუახევის და სხალთის ჰესები ერთად წელიწადში დაახლოებით 450 გიგავატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, რაც ქვეყნის მთლიანი ელექტროენერგიის გამომუშავების დაახლოებით 4-5%-ს შეადგენს.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები

3.1 მიმოხილვა

AGL-ის მიმდინარე ვალდებულების, კერძოდ კარგი კორპორატიული მმართველობისა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიმართ, აღნიშნული SEP შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველომ ხელი მოაწერა და რატიფიცირება გაუკეთა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის არჰუსის კონვენციას, რომელიც ეხება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას (1998წ.[1]). შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა დიდწილად შეესაბამება დამფინანსებლების მოთხოვნებს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის თვალსაზრისით.

3.2 საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია (1995წ.) წარმოადგენს საზოგადოების გარანტიას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კონსტიტუციის თანახმად პირს შეუძლია მიიღოს სრული, მიუკეროებელი და დროული ინფორმაცია თავის სამუშაო ადგილსა და საცხოვრებელ გარემოზე.

2018 წლის 1 იანვრამდე გარემოსდაცვითი ნებართვა რეგულირდებოდა შემდეგი კანონებით - საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ (2007წ); საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის“ შესახებ (1996წ.); საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ (2005წ.) და საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007წ.). 2018 წლის 1 იანვრიდან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ და „ეკოლოგიური ექპერტიზის“ შესახებ კანონები ჩაანაცვლა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა. ახალი კოდექსის უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას და ჩართულობას. კოდექსი არეგულირებს დეტალურ მოთხოვნებსა და პროცედურებს საზოგადოებრივი კონსულტაციების და აწესებს ვადებს ინფორმაციის გასაჯაროებისა და განხილვის შესახებ. საზოგადოებრივი გასაჯაროების პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოს დაცვისა და სოფლის

[1] https://unece.org/environment-policy/public-participation/aarhus-convention/introduction

მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის, სკოპინგის, გზშ-ს მომზადების და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე. სამინისტრო უზრუნველყოფს განცხადების გამოქვეყნებას, საჯარო მოსმენების ჩატარებას და შეხვედრის ოქმების მომზადებას. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები/მოსაზრებები და სამინისტრო ვალდებულია გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი.

შუახევი ჰესის პროექტის მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლის 30 ივნისს. იმ დროისთვის მოქმედი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ კანონის შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელმა მოამზადა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში და ჩაატარა საჯარო განხილვები კანონმდებლოს შესაბამისად.

ქართული კანონმდებლობა მოითხოვს საზოგადოების ჩართულობას მხოლოდ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში (არ არსებობს მოთხოვნა მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე საზოგადოების ჩართულობისა). ამგვარად, ოპერირების ფაზაზე არც ერთი ზემოაღნიშნული კანონი არ მოქმედებს.

3.3 საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მოთხოვნები

საჯარო კონსულტაციები, ინფორმაციის გასაჯაროება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა წარმოადგენს IFC-ის სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებს და ხორციელდება „შესრულების სტანდარტების“ (PS) ფარგლებში. პროექტში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნებია:

- პროცესი დაიწყოს პროექტის ციკლის განვითარების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე;
- გაგრძელდეს პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლისთვის;
- გამოირიცხოს ყოველგვარი მანიპულაცია, ჩარევა, იძულება ან დაშინება;
- სადაც საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნას თემის მონაწილეობა;
- განხორციელდეს დროული, შესაბამისი, გასაგები და მისაღები ინფორმაციის საუძველზე, კულტურულად მისაღებ ფორმატში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკიდან გამომდინარე IFC ცდილობს ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ზუსტი და დროული ინფორმაცია როგორც მისი საინვესტიციო და საკონსულტაციო საქმიანობების, ასევე ზოგადი ინსტიტუციური ინფორმაციის შესახებ.

IFC-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის თანახმად, დასაფინანსებლად წარდგენილი ყველა A კატეგორიის პროექტი, როგორიცაა აღნიშნული პროექტიც, მათი განხილვის შედეგების შინაარსი და რეკომენდაციები გასაჯაროვდება და მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- მითითებას PS-ზე და ნებისმიერი საჩივრის განხილვის მექანიზმზე, მათ შორის შესაბამისობის მრჩეველსა/ომბუდსმენზე;
- პროექტის IFC კატეგორიზაციის დასაბუთებას;
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და ზემოქმედებებს;
- აღნიშნული რისკებისა და ზემოქმედებების შემამცირებელ ძირითად ღონისძიებებს, PS-ების შესაბამისს, პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა დამატებითი ღონისძიების მითითებას;
- პროექტის ფარგლებში მიერ შემუშავებული შესაბამისი გზშ–ს ელექტრონულ ასლებს ან ვებ-გვერდების მისამართებს;
- სხვა დამატებით დოკუმენტებს, მაგალითად სამოქმედო გეგმას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, განსახლების გეგმას და სხვა.

3.4 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები

EBRD-ის ინფორმაციის გახმაურებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძირითადი პოლიტიკის მთავარ დოკუმენტებს წარმოადგენენ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (2008) და საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (2008). IFC-ის მსგავსად EBRD–იც უყენებს მოთხოვნას პროექტის სპონსორს მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროექტის ადრეულ ეტაპზე პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა იყოს ღია, არსებითი და მისაღები პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემებისთვის. ჩართულობის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოწყვლადი თემების ინტერესებს. გზშ დოკუმენტი უნდა ატარებდეს საჯარო ხასიათს პროექტის მთელი სიცოცხლის მანძილზე; პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ასევე საჯარო ინფორმირების საგანია.

3.5 საჯარო კონსულტაციები ევროკავშირის მოთხოვნების ფარგლებში

ევროპული კავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა 85/337/EEC, რომელიც შეიცვალა 2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/92/EU, გარემოზე ზოგიერთი საჯარო და კერძო პროექტის ზემოქმედების შეფასების შესახებ, აღწერს ზემოქმედების შეფასების იმ პროცესს, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან. EIA დირექტივა მოითხოვს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ კონსულტაციას პროექტის განვითარებისა, ზემოქმედების შეფასებისა და განხორციელების პროცესში.

დირექტივა მოითხოვს საზოგადოების ჩართვას ისეთი პროექტისთვის გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბუნებრივ და/ან სოციალურ გარემოზე. პროექტის შემუშავების ფაზაზე საზოგადოებას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. მიღებული შენიშვნები უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო შენიშვნების უარყოფა და უგულებელყოფა მოითხოვენ შესაბამის დასაბუთებას, ხოლო საზოგადოებას უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზების შესახებ. თუმცა, დირექტივა საზოგადოების წევრებს ანიჭებს უფლებას გაასაჩივრონ გადაწყვეტილების ან მოქმედების სისწორე. ევროკავშირის დირექტივა 2003/4/EC „საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაცის ხელმისაწვდომობის“ შესახებ ანიჭებს საზოგადოებას უფლებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო სამსახურებში არსებულ ინფორმაციაზე და მოიცავს ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებსა და დებულებებს საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

2.6 აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები

ADB-ს მოთხოვნები A კატეგორიის პროექტების კონსულტაციების და გასაჯაროების შესახებ EBRD-ის და IFC-ის მოთხოვნების მსგავსია. ADB-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკაში ხაზგასმულია ზემოქმედების შეფასების შედეგების გამოქვეყნების აუცილებლობა და განხილვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის საჭიროება. პოლიტიკა მხარს უჭერს საზოგადოების უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია იმ პროექტებზე, რომლებიც ADB-ს დახმარებით ხორციელდება. პოლიტიკის მეშვეობით ADB ცდილობს საზოგადოებას მიაწოდოს დროული, გასაგები და შესაბამისი ინფორმაცია, და ასევე

გაავრცელოს იგი იმ მოსახლეობაში, რომელიც აჭარისწყლის ჰესების კასკადი პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, რათა მათ დროულად შეძლონ საქმიანობაში ჩართვა და პროექტის დაგეგმვაში საკუთარი წვლილის შეტანა. ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო ამყარებს ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკა (SPS), რომელიც შემდეგნაირად განსაზღვრავს "კონსტრუქციულ კონსულტაციებს": პროცესი, რომელიც

(i) იწყება პროექტის მომზადების ადრეულ სტადიაზე და გრძელდება პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში;

(ii) უზრუნველყოფს ისეთი შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის დროულ გაშუქებას, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის არის გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი;

(iii) ხორციელდება დაშინებისგან და იძულებისაგან თავისუფალ გარემოში;

(iv) არის გენდერულად ინკლუზიური და მოქნილი, და მორგებული დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე;

(v) საშუალებას იძლევა ჩართოს პროექტით დაზარალებული ჯგუფები და დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორიც არის მაგალითად საპროექტო გადაწყვეტები, შემარბილებელი ღონისძიებები, სარგებელის და შესაძლებლობების გაზიარება და განხორციელების საკითხები.

SPS-ის უსაფრთხოების მოთხოვნის თანახმად: მსესხებელი/დამკვეთი ვალდებულია ჩაატაროს გონიერი კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან, და ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას პროექტის განვითარებაში, შემარბილებელი ღონისძიებებში და სარგებლისა და შესაძლებლებების გაზიარებაში. უსაფრთხოების მოთხოვნა 2: იძულებითი განსახლება მსესხებელს/დამკვეთს ავალდებულებს, რომ წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია განსახლების შესახებ, მათ შორის განსახლების გეგმები დროულად, ხელმისაწვდომ ადგილას და იმ ენაზე, რომელიც ადვილად გასაგებია ადგილმონაცვლე პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. წერა-კითხვის უცოდინარი ხალხისთვის, კი კომუნიკაციის სხვა შესაფერისი მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული.

ADB's პოლიტიკა ესადაგება შუახევი ჰესის სქემას, რომელიც ბანკმა დაამტკიცა 2014 წლის 19 მაისს.

4. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება პიროვნება ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც არიან პროექტის პირდაპირ ან არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ან აქვთ რაიმე სახის ინტერესი პროექტის მიმართ, ან შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინონ პროექტზე, როგორ პოზიტიურ ისე ნეგატიურ ჭრილში.

შუახევის ჰესის პროექტის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა დაიწყო პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ საზოგადოებებს, რომლებიც ზემოქმდების ქვეშ მოექცნენ სამშენებლო სამუშაოების დროს, შესაძლოა განსხვავებული ინტერესები და ზეგავლენები ჰქონდეთ ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე. შესაბამისად, ოპერირების ფაზამდე ხელახლა შეფასდა დაინტერესებული მხარეები, რათა ზუსტად ასახულიყო ის ჯგუფები, რომლებიც გავლენას განიცდიან ამ ეტაპზე, და შედეგები ასახულ იქნა ოპერირების ფაზის პირველ SEP-ში. წინამდებარე SEP აგრძელებს იმ დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და წუხილების გათვალისწინებას, რომლებიც პროექტის ოპერირების ფაზას უკავშირდება.

პროექტის დაინტერესებული მხარეები დაყოფილნი არიან მათი სიახლოვისა და ზემოქმედების მიხედვით შუახევის ჰესის ობიექტებთან მიმართებაში. ეს გაკეთდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩართულობისა და კონსულტაციების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭოს იმ მხარეებს, რომლებიც პირდაპირ განიცდიან ზემოქმედებას. მათ დასაჯგუფებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- შესაძლებლობა, რომ განიცდიდეს ბუნებრივ და/ან სოციალურ გარემოზე ზემოქმედებას, როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს. რის შედეგადაც ისინი მიეკუთვნენ როგორც „ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს“ (affected parties)
- შესაძლებლობა, რომ ზემოქმედება იქონიონ და/ან გააჩნდეთ ინტერესი ოპერირების პროცესზე. რის საფუძველზეც ისინი მიეკუთვნებიან „დაინტერესებული მხარეების“ ჯგუფს (interested parties).

კომპანიამ ისინი ორ კატეგორიად დააჯგუფა: პირდაპირი (შიდა და გარე) და არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები.

პირდაპირი დაინტერესებული მხარეები (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული)

პირდაპირი დაინტრესებული მხარეები არაინ ისინი, ვინც უშუალოდ განიცდიან ჰესის ექსპლუატაციის ზემოქმედებას, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. ეს ჯგუფი მოიცავს:

- ის მოსახლეობა, რომლებიც ჰესის ობიექტების მიმდებარედ ცხოვრობენ, ძირითადად (კაშხლების ქვედა ბიეფში და წყალსაცავებთან)
- კომპანიის თანამშრომლები
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ა.შ.

ცხრილი 1-ით ნაჩვენებია დაინტერესებულ მხარეთ ძირითადი ჯგუფები და მათი კავშირი პროექტთან.

ცხრილი 1 პირდაპირი დაინტერესებული მხარეები

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
	შიდა დაინტერესებული მხარე ჯგუფი	
კომპანიის თანამშრომლები	თანამშრომლები, კონტრაქტორები სერვისის მიმწოდებლები ქვე-კონტრაქტორები	მიიღებენ სარგებელს დასაქმების გზით. თუმცა, არსებობს რისკი, რომ ზიანი მიადგეს მათ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ასევე შესაძლებელია დაირღვეს მათი შრომითი უფლებები. კომპანია უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას.
კომპანიის მფლობელები	ქლინ ენერჯი ინვესტი ტატა ფაუერი	დაინტერესებულნი არიან ჰესის ექსპლუატაციით და რამდენად შესაბამისობაშია E&S სტანდარტებთან
	გარე დაინტერესებული მხარეთა ჯგუფი	
წყალსაცავის ზედა ბიეფში მცხოვრები მოსახლეობა	დიდაჭარის კაშხალი: ღურტა, იაკობაძეები, დიდაჭარა სხალთის კაშხალი: კვატია ჩირუხის დამბა: მახალაკიძეები	შესაძლო ზემოქმედება წყლის დონის ცვლილების გამო, უსაფრთხოების გამო წყალსაცავის ფერდობები, რომლებიც ციცაბოა მოითხოვს შემოღობვას. მოსახლეობას აინტერესებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები და შესაბამისად, უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ოპერირების ფაზაზე არსებულ იმ შეზღუდვებზე, რაც დაკავშირებულია საზოგადოების ჯანმრთელობასთან და უსაფრთოხებასთან, ჰესის

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
		ობიეტების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოება, ფერდობების მდგრადობა, ნაკადის ცვლილება. ისინი ასევე მიიღებენ სარგებელს დასაქმებით და კომპანიის სოციალური პროექტებისგან.
წყალსაცავის და ჰესის ქვედა ბიეფის მოსახლეობა	დიდაჭარის კაშხალი: დიაკონიძეები, ელელიძეები, განახლება სხალთის კაშხალი: ყინჩაური, ჭერი, ძმაგულა. ჩირუხის დამბა: მახალაკიძეები შუახევი ჰესი: ხიჭაური	დაინტერესებულნი არიან კაშხლის უსაფრთხოებით, წყალსაცავის გარეცხვისა და ეკოლოგიური ხარჯის საკითხებით. ისინი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გამო დაწესებული შეზღუდვების შესახებ. სარგებელს მიიღებენ დასაქმებითა და არაპირდაპირი ეკონომიკური შესაძლებლობებით. ასევე, კომპანიის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტებით.
35 კვ-ანი გადამცემი ხაზის ზემოქმედების ქვეშ არსებული მოსახლეობა	შუახევის მუნიციპალიტეტი: ოქროპილაური, დაბაძველი, დაბა შუახევი, ნენია, ფურტიო,ბესელაშვილები, ნიგაზეული,ჩანჩხალო, გორხანაული. ხულოს მუნიციპალიტეტი: წაბლანა, ყინჩაური, ჭერი, გურძაული, ძმაგულა.	ანძების ბუფერში მოქცეული მიწის ნაკვეთებზე შეზღუდვა. დაინტერესებულნი არიან გადამცემი ხაზით გამოწვეული სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების საკითხებით. მათი ჩართვა მოხდება ბუფერში მოქცეული ხეების გასხვლისა და/ან გადამცემი ხაზის მოვლა-პატრონობის სამუშაოების დროს.
თემები, რომლებიც სარგებელს იღებენ CSR პროექტების განხორციელების შედეგად	სხვადასხვა სოფელი	დაინტერესებულში არიან CSR პროექტებით. კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით.
მოწყვლადი ჯგუფები/პირები, რომლებიც ზემო აღნიშნულ სოფლებში ცხოვრობენ	პენსიონერები, ქალის მიერ მართული შინამეურნეობები, შშმ პირები, სირარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ოჯახები, მარჩენალ დაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები.	შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე პროექტის შესახებ. დაინტერესებულნი ოპერირების ფაზის საკითხებით. აუცილებელია მათთან შეხვედრა ადგილზე (მათ საცხოვრებელ სახლებში ან სოფელში)
ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	ხულოს მუნიციპალიტეტი შუახევის მუნიციპალიტეტი ქედის მუნიციპალიტეტი	დაინტერესებულნი არიან ჰესის ოპერირების საკითხებით. ჩართულნი იქნებიან უსაფრთხოების შეხვედრებში. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტები სარგებელს იღებენ კომპანიის მიერ გადახდილი ქონების გადასახადით. აქვთ მოლოდინი სოციო-ეკონომიკური

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
		მდგომაროების გაუმჯობესების. ჩართულნი არიან CSR პროექტებში / თანადაფინანსება.
ბიზნესი და საწარმოები	აწჰესი - ენერგო-პრო ჯორჯია კირნათი და ხელვაჩაური ჰესები - შპს "აჭარ ენერჯი"	შესაძლო ზემოქმედება შუახევი ჰესის ოპერირების შედეგად
მეთეევზეები	მეთევზეები ხულოსა და შუახევში	ინფორმაციის მიწოდება გარეცხვასთან დაკავშირებით, დაინტერესებულნი უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით.
მედია	აჭარის ტელევიზია ტვ 25 გაზეთი "აჭარა" გაზეთი "ბათუმელები" გაზეთი "ხულო" გაზეთი "შუახევი"	ოპერირების საკითხებსა და სხვა პროექთან დაკავშრებული საკითხების გაშუქება, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე კომპანიის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს.

არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები / სხვა დაინტერესებული მხარეები

არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები განისაზღვრება, როგორც ის პირები ან ორგანიზაციები, რომლებზეც პროექტი პირდაპირ გავლენას არ ახდენს, მაგრამ შეიძლება დაინტერესებული იყვნენ მისით ან შეეძლოთ მის შედეგებზე გავლენის მოხდენა. ასეთი დაინტერესებული მხარეები „ინტერესებზე დაფუძნებულ“ მხარეებად ითვლებიან.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
სახელმწიფო სტრუქტურები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / ენერგეტიკის დეპარტამენტი	დაინტერესებულნი არიან კომპანიის საქმიანობით, თუ რამდენად შესაბამისობაშია მარეგულირებელ ნორმებთან. ქვეყნის ელექტროდამოუკიდებლობის მოლოდინი.
	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
	სახელმწიფო ელექტროსისტემა (GSE)	
	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (GNERC)	
	ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი (ESCO)	
რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება	აჭარის მთავრობა	დაინტერესებულნი არიან ჰესის ოპერირებით, შესაძლო თანამშრომლობით.
	საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო	
	აჭარის ა.რ. სატყეო სააგენტო	
	ხულოსა და შუახევის პოლიციის დეპატრამენტი	
ფინანსური ინსტიტუტები	IFC, EBRD, ADB	საფინანსო ინსტიტუტები დაინტერესებულნი არიან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობით მათ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან.
ბიზნესი	სანალია ჰესი	მდებარეობს ჩირუხის დამბის ზედა ბიეფში, შესაძლო თანამშრომლობა
	შპს “ტექნო ჯორჯია”	დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიზინგის თანხის ცარიცხვის კონტროლი.
გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები	ფსოვი	ადგილობრივი გარემოს დაცვა ექსპლუატაციის ფაზაში. ექსპლუატაციის დროს ბუნებრივ გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაცია.
	მთა-ბარი	
	შავი ზღვის ეკო აკადემია	
	ფლორა და ფაუნა	
	ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”	
	მწვანე ალტერნატივა	
	მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები	
	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი	

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები	საქართველოს განახლებადი ენერგიის განვიტარების ასოსიაცია (GREDA)	განახლებადი ენერგიის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარება.
	დემოკრატიის ინსტიტუტი	თანამშრომლობის შესაძლებლობები.
	დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი	ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვა.
	ქალთა ოთახები ხულოსა და შუახევში	თანამშრომლობის შესაძლებლობები.
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	CEE Bankwatch	
	WWF Caucasus	
	Transparency International Georgia	დაინტერესებულია ადგილობრივი გარემოს და ადამიანის უფლებების დაცვით.
	USAID	თანამშრომლობის შესაძლებლობები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ფარგლებში.
	UN Global Compact Georgia	ESG ფაქტორების შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება.
საგანმანათლებლო ინსტიტუტები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დაინტერესებულია AGL-თან თანამშრომლობით მათი სტუდენტებისთვის სტაჟირების კუთხით.
	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი	დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, სტაჟირებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობა.
	საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა" (ხულოს ოფისი)	
	საზოგადოებრივი კოლეჯი "შავი ზღვა" (შუახევის ოფისი)	
ფართო საზოგადოება	სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ჰესის ვიზიტორები	დაინტერესებულია ჰესის ოპერაციით. მისი გარემოთი, უსაფრთხოების ზომებით და ა.შ. ჩართულია სხვადასხვა ცნობიერების ამაღლების აქტივობებში.
მედია	ტვ აჭარა	ჰესების ოპერირების გაშუქება, მოსახლეობის ინფორმირება პროექტის დაგეგმილი აქტივობების შესახებ. პროექტის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობების პოპულარიზაცია და ინფორმირება.
	ტვ 1	
	რუსთავი 2	
	მთავარი	
	ობიექტივი	
	ტვ 25	
	იმედი ტვ	

მოწყვლადი ჯგუფები

წინამდებარე SEP-ის კონტექსტში, მოწყვლად ჯგუფებში იგულისხმება ის პირები, რომლებზეც კონკრეტული მახასიათებლების (ეთნიკური კუთვნილება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, გენდერული იდენტობა, ეკონომიკური არახელსაყრელი მდგომარეობა და

ა.შ.) გამო შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პროექტის ზემოქმედებამ და შეიზღუდოს მათი შესაძლებლობები მოითხოვონ ან მონაწილეობა მიიღონ პროექტის სარგებელში. პროექტის განხორციელებისას, AGL უზრუნველყოფს, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ სრული შესაძლებლობა, იყვნენ ინფორმირებულნი პროექტის საქმიანობის შესახებ. ჩართულობის აქტივობები შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს ამ ჯგუფების სრული მონაწილეობა.

4.1 ჩართულობის პროგრამა

AGL ცდილობს უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული მხარეები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი პროექტის შესახებ და გამოიყენონ ჩართულობის სხვადასხვა მეთოდი. დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი აზრი, მათ შორის საჩივრები, პროექტისა და კომპანიის მუშაობის შესახებ. ცხრილი 4-3 ქვემოთ აღწერს თუ რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს და და კომუნიკაციის რა საშუალებების გამოყენებით.

ცხრილი 0-1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

საქმიანობა	ჩართული დაინტერესებული მხარე	ვადები / ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზეზი	რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს	კომუნიკაციის საშუალებები
1. ჩართულობა შიდა დაინტერესებულ მხარეებთან	კომპანიის თანამშრომლები, (ქვე)კონტრაქტორები, მომწოდებლები	უწყვეტად	ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე აქტივობების, სხვადასხვა უნარების განვითარების, ცნობიერების ამაღლების, კორპორატიული სულისკვეთების გაძლიერების შესახებ სხვადასხვა დამატებითი სამუშაოს/კორპორატიული აქტივობების მეშვეობით.	➢ მუშათა საჩივრების მექანიზმი ➢ ადამიანური რესურსები, E&S, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურები ➢ ქცევის კოდექსი ➢ შესყიდვის პოლიტიკა ➢ შეტყობინებები / შესაძლებლობების განვითარების / ტრენინგები/ დამატებითი სამუშაო / კორპორატიული აქტივობები	შეხვედრები , ელ. ფოსტა, შეხვედრები ვიდეო კონფერენცია თანამშრომელთა ტრენინგები ექსკურსიები / კორპორაციული ღონისძიებები
2. ჩართულობა ადგილობრივ მოსახლეობასთან	ცხრილი 4-1 ჩამოთვლილ სოფლებში	უწყვეტად წყალსაცავის გარეცხვამდე	პროექტის ზემოქმედების გაგება და თუ როგორ უნდა მოხდეს შემარბილებელი ღონისძიებების მართვა. CSR პროექტების ერთობლივი დაგეგმვა და კოორდინირება.	➢ ჰესის ექსპლუატაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის, ამ SEP-ის შესახებ ➢ გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობა ➢ საზოგადოების საჩივრების მართვის პროცედურა ➢ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები ➢ საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება	➢ საჯარო შეხვედრები თითოეულ სოფელში. ➢ საინფორმაციო ბროშურები ➢ ოჯახების აუთრიჩი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალებს და ბავშვებს (და სხვა პოტენციურად დაუცველი ჯგუფებს, როგორიცაა პენსიონერები და შეზღუდული

საქმიანობა	ჩართული დაინტერესებული მხარე	ვადები / ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზეზი	რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს	კომუნიკაციის საშუალებები
	წყალსავებისა და ჰესის ქვედა ბიეფში მცხოვრები მოსახლეობა			➢ კაშხლის უსაფრთხოება ➢ ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ➢ ინფორმაცია წყალსაცავის გარეცხვის გრაფიკის შესახებ ➢ ინფორმაცია ეკოლოგიური ხარჯის შესახებ ➢ ინფორმაცია საზოგადოების უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საქმიანობის შესახებ ➢ ინფორმაცია გარეცხვის ზემოქმედების შესახებ მდინარის ეკოლოგიაზე	შესაძლებლობის მქონე პირები) ბრიფინგების ჩატარება. ➢ კომპანიის ვებსაიტი
3. ღია დღეები	ფართო საზოგადოება სკოლის მოსწავლეები	წლიური / შუახევი ჰესი	საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს ჰესის ექპლუატაციას, გარემო პირობებს, უსაფრთხოების ზომებს და თუ რა სარგებელი მოაქვს რეგიონისთვის.	➢ პროექტის დიზაინი და ობიექტები ➢ E&S ვალდებულებები და ყველა შემარბილებელი ღონისძიება ➢ უსაფრთხოების ზომები ➢ Q&A სესია	ჰესზე ვიზიტი პრეზენტაცია

საქმიანობა	ჩართული დაინტერესებული მხარე	ვადები / ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზეზი	რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს	კომუნიკაციის საშუალებები
4. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები და კომუნიკაცია (ინფორმაციის გასაჯაროების ჩათვლით).	არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო უწყებები, ბიზნესები.	საჭიროების მიხედვით / თბილისი, ბათუმი	მიმდინარე საქმიანობებზე შემარბილებელი ღონისძიების შედეგებზე, სოციალურ პროექტებზე ინფორმაციის მიწოდება.	პროექტის ექსპლუატაციის შესახებ გარემოსდაცვითი და სოციალურ გავლენათა პრეზენტაცია დისკუსია და ქმედებების გეგმა იმ საკითხებზე, რომლებიც აღინიშნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი დაწესებულებების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების ან ბიზნესის მხრიდან.	სემინარები სამუშაო შეხვედრები ტური ჰესზე კომპანიის ვებ-გვერდი
5. წლიური შეხვედრები და კომუნიკაცია სხვა ჰესების ოპერატორებთან	სხვა ჰესების ოპერატორები აჭარის ხეობაში და საქართველოს მასშტაბით	წლიურად თბილისი / ბათუმი	დისკუსია და სამოქმედო გეგმა ოპერირების შესახებ, მათ შორის გარეცხვის შედეგად შესაძლო კუმულაციური გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხების მართვისთვის.	კაშხლის უსაფრთხოებისა და საგანგებო მზადყოფნის სავარჯიშოებთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების გეგმა. ჰიდროლოგიური მონაცემები მდინარეებზე შემოდინების უკეთ გასაგებად და ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის	პირადი შეხვედრები ელ. წერილები სატელეფონო ზარები

საქმიანობა	ჩართული დაინტერესებული მხარე	ვადები / ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზეზი	რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს	კომუნიკაციის საშუალებები
6. ჩართულობა საფინანსო ინსტიტუტებთან	EBRD, ADB, IFC	წელიწადში ორჯერ	ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე საქმიანობებზე, გარემოსდაცვით და სოციალურ შესაბამისობაზე.	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში	ანგარიშები საიტზე ვიზიტი ვიდეოკონფერენცია, ელ.ფოსტა
7. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ჩართულობა	ყველა სამტავრობო უწყებასთან, რომელიც მოცემულია ცხრილი **Error! Reference source not found.Error! Reference source not found.**	საჭიროების მიხედვით ბათუმსა და თბილისში	დარწმუნება იმაში, რომ კომპანია იცავს ყველა შესაბამის კანონსა და რეგულაციას. მიაწოდოს ინფორმაცია ელექტროენერგიის გამომუშავების შესახებ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ და უზრუნველყოს გარემოსა და სოციალური მოთხოვნების შესრულება.	ექსპლუატაციის პროცესები გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები CSR პროექტების შედეგები	ანგარიშები წერილები საიტზე ვიზიტები პრეზენტაციები
8. ჩართულობა CSR ბენეფიციარებთან	სხვადასხვა სოფელში	ყველა თვიურად საჭიროების / მიხედვით	საქმიანობების ერთობლივად დაგეგმვა საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) აქტივობების დაგეგმვა და მათი ჩართვა განხორციელებული პროექტების მონიტორინგი და შეფასება	განხორციელებული პროექტების შედეგები მაკორექტირებელი ღონისძიებები შედეგების გასაუბჯობესებლად მომავალი პროექტების და გეგმების დასახვა	შეხვედრები სატელეფონო ზარები ვებგვერდი ელ.ფოსტა სოც. მედია

საქმიანობა	ჩართული დაინტერესებული მხარე	ვადები / ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზეზი	რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს	კომუნიკაციის საშუალებები
9. მედიასთან ჩართულობა	ადგილობრივი და ცენტრალური მედია საშუალებები	კომუნიკაციისა და მედიის გეგმის მიხედვით თბილისი/ბათუმი	ინფორმაციის მიწოდება პროექტის სტატუსის, ენერგიის გამომუშავებისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროექტების შესახებ.	მიმდინარე საქმიანობები გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობები CSR პროექტები	შეხვედრები სოც. მედია მედია ტური ინტერვიუ ლიფლეტი პრესრელიზი სტატია კომპანიის ვებგვერდი

4.2 ინფორმაციის გასაჯაროება

AGL მართავს ორენოვან (ქართული და ინგლისური) ვებსაიტს www.agl.com.ge , რომელიც რეგულარულად ახლდება და გამოქვეყნებულია ყველა საჯარო დოკუმენტაცია, როგორიცაა გარემოსა და სოციალური მართვის გეგმები (ESMS), გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA), დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP), მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LALRP), ბიომრავალფეროვნების ქმედებების გეგმა (BAP) და სხვა. ასევე გამოქვეყნებულია გეოლოგიური ანგარიში, ეკოლოგიური ხარჯის მონიტორინგის ანგარიშები, ხშირად დასმული კითხვები და სხვა მასალები. ვებსაიტზე განთავსებულია სიახლეები, სტატიები და ვიდეოისტორიები. ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმის (Grievance Redress Mechanism) შესახებ და კომპანიის ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, ბეჭდური დოკუმენტაციაც ხელმისაწვდომია AGL-ის ოფისებში.

ვებსაიტის გარდა, ფართო აუდიტორიამდე მისაღწევად AGL იყენებს სოციალურ მედიაპლატფორმებს, ძირითადად LinkedIn-სა და Instagram-ს, სადაც კომპანიის საქმიანობისა და მიღწევების შესახებ განახლებები ქვეყნდება.

AGL ყოველწლიურად გამოსცემს ჟურნალს, რომელიც აჯამებს კომპანიის წლიურ საქმიანობას. ეს ჟურნალი ვრცელდება ცენტრალური და რეგიონული დონის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებში. საჭიროებისამებრ იბეჭდება საინფორმაციო ფლაერები, რომლებიც ვრცელდება უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა მეთოდის კომბინაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტურ წვდომასა და მათ ინფორმირებას კომპანიის საქმიანობის შესახებ.

4.3 ფუნქციები და პასუხისმგებლობები

AGL-ს ჰყავს სოციალური ჯგუფი, რომელიც ოპერაციული ფაზის განმავლობაში ახორციელებს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებებს. AGL-ის სოციალური დეპარტამენტს ხელმძღვანელობს CSR მენეჯერი 2020 წლის მარტიდან. კომპანიამ ასევე შეინარჩუნა დიდაჭარისა და სხალთის თემებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები (CLO) და დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის სპეციალისტი (SES), რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების დარეგისტრირებასა და ასევე შუახევის მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე. ოპერირების ფაზაზე საჯარო საინფორმაციო ცენტრის ფუნქციას ასრულებს შუახევი ჰესი. ცხრილი 3-ში მოცემულია სოციალური გუნდის სტრუქტურა, როლი და პასუხისმგებლობა.

პოზიცია	მოვალეობა და პასუხისმგებლობა
აღმასრულებელი დირექტორი	• ამ გეგმის დამტკიცება და მისი განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა რესურსის უზრუნველყოფა.
CSR ხელმძღვანელი	• უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ოპერაციები შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFIs) სოციალური შესაბამისობის მოთხოვნებთან და SEP ვალდებულებებთან. • პასუხისმგებელია სოციალური შესაბამისობისა და CSR (კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის) გეგმის წარმატებით განხორციელებაზე. • გეგმავს და ამუშავებს სტრატეგიებს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის, ინფორმაციის მიწოდებისა და CSR აქტივობებისთვის. • უწევს კოორდინაციას მერის ოფისებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან, კრედიტორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. • CSR აქტივობების განვითარებისა და განხორციელების ზედამხედველობა • სოციალური შესრულების, მათ შორის SEP-ის მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება AGL-ის მენეჯმენტსა და კრედიტორებს.
დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის სპეციალისტი	• ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგულარული შეხვედრების წარმოება, შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, შეხვედრის ოქმების მომზადება • დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მონაწილეობა უსაფრთხოებაზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრებში ოპერირების ფაზაზე; • საჩივრების რეესტრის ადმინისტრირება და მართვა (შუახევი+35კვ-იანი ხაზები), საჩივრების რეგისტრირება და მათი დროული დახურვის უზრუნველყოფა • სოციალური გუნდის დახმარება CSR ღონისძიებაში უზრუნველყოფის მიზნით • ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და CSR მენეჯერთან წარდგენა • მერიიდან შემოსული წერილების, განცხადებების, მომართვების რეგისტრაცია.

თემთან ურთიერობის ოფიცერი (დიდაჭარა+სხალთა)	• ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგულარული შეხვედრების წარმოება, შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, შეხვედრის ოქმების მომზადება • დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მონაწილეობა უსაფრთხოებაზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრებში ოპერირების ფაზაზე; • დაინტერესებულ მხარეთა სპეციალისტისთვის წერილობითი და ზეპირი საჩივრების მიწოდება დასარეგისტრირებლად • ადგილზე გასვლები, შეხვედრების ჩატარება, პრობლემის შესწავლა, წერილობითი მოხსენების მომზადება • სოციალური გუნდის დახმარება CSR ღონისძიებაში უზრუნველყოფის მიზნით • ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და CSR მენეჯერთან წარდგენა

5. საჩივრების მექანიზმი

პროექტის საჩივრების მექანიზმი შეიქმნა ჯერ კიდევ მშენებლობის ადრეულ ფაზაზე 2011 წელს. დღემდე პროექტის სოციალური ჯგუფი აქტიურად მიმართავს მას. გასაჩივრების მექანიზმი იარსებებს მთელი ოპერირების ფაზის პერიოდში.

საჩივარი არის კონკრეტული პრობლემა ან საკითხი, რომელმაც შესაძლებელია მომავალში წარმოქმნას რაიმე სახის პრობლემა და გახდეს დავის საფუძველი. როგორც ყოველთვის, კომპანია შეეცდება აქტიურად იმუშაოს საჩივრების პრევენციის კუთხით შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებითა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი (SES) იმუშავებს საჩივრების რეესტრის განახლებაზე, საჩივრების და კითხვების მიღებაზე და უზრუნველყოფს, რომ საჩივრის ავტორს პასუხი გაეცეს დროულად, დადგენილ ვადებში. ნებისნიერ მოქალაქეს შეუძლია საჩივრის წარდგენა კომპანიაში, თუ იგი ფიქრობს, რომ ჰესის ოპერირება ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობაზე, გარემოსა და მათი ცხოვრების ხარისხზე. ნებისმიერ ადამიანს ასევე შეუძლია მოსაზრებების და რეკომენდაციების წარდგენა.

ნებისმიერი შენიშვნის ან საჩივრის შემოტანა შესაძლებელია ზეპირსიტყვიერად, წერილობითი ფორმით საჩივრის ფორმის შევსებით მეშვეობით. შევსების შემდეგ საჩივრის ფორმა წარედგინება კომპანიის წარმომადგენელს, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ყველა საჩივრის რეაგირება ხდება 10 დღის განმავლობაში. თუ შესაძლებელია დაუყოვნებლივ მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, კომპანია ამას აკეთებს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. თუ დაიყოვნებლივ რეაგირება არ არის საჭირო, მაშინ საჩივარზე წერილობით პასუხის გაცემა ხდება 21 დღის განმავლობაში. წინამდებერე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა დაწვრილებით აღწერს საჩივრის განხილვის პროცედურას და პროცესს თუ როგორ ხდება წამოჭრილ პრობლემასთან,

საჩივართან გამკლავება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სისტემის შესაბამისად. საჩივრებზე შემდეგი სახის ინფორმაცია დარეგისტრირდება სპეციალურად შექმნილ რეესტრში:

- დაინტერესებული მხარის სახელი და გვარი;
- რა სახის საჩივარია;
- საჩივრის მიღების, პასუხის გაცემი/გადაწყვეტისა და დახურვის თარიღები.

კომპანია ვერ მოახდენს რეაგირებას ანონიმურ საჩივარზე. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კომპანიაში საჩივრის წარდგენა არ ართმევს დაინტერესებულ მხარეს უფლება

გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გასაჩივრების მექანიზმები. კომპანიის დაინტერესებულ მხარეენთან ჩართულობის სპეციალისტი არის საჩივრებთან და/ან კომენტარებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი. საჩივრები და კომენტარები უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე.

საკონტაქტო პირი: ინგული დავითაძე
მისამართი: შუახევი ჰესი
ელ-ფოსტა: inguli.davitadze@agl.com.ge info@agl.com.ge
მობ: + 995 577 20 34 15
ვებგვერდი: www.agl.com.ge

ან შესაძლებელია ფოსტით გაგზავნა შემდეგ მისამართზე:

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
ბაგრატიონის 1. N129
ბინა 2/3
6010 ბათუმი, საქართველო

საჩივრების რეესტრის მონიტორინგი ხდება შემსრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) მეშვეობით, სადაც შემუსილი და პასუხგაცემული საჩივრების, მათზე რეაგირების დროს და ა.შ. არის აღრიცხული. კომპანია პერიოდულად ახდენს საჩივრების სისტემის ეფექტურობის შეფასებას.

6. მონიტორინგი და ანგარიშგება

SEP-ის განხოცრიელების ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, კომპანია განახორციელებს რეგულარულ მონიტორინგს და შემდეგ აქტივობებს:

- ოპერირების SEP-ის მუდმივი განახლება და გასაჯაროება;
- CLO და SES-ი მიერ საქმიანობის დოკუმენტირება და შენახვა (შეხვედრის ოქმი და
- თანდართული მტკიცებულებები);
- საჩივრების რეესტრის წარმოება: თითოეულ საჩივარს მიენიჭება
- საიდენტიფიკაციო ნომერი და მოხდება რეაგირებისა და საჩივრის დახურვის
- ვადების აღრიცხვა
- ყოველწლიური ანგარიშგება საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, IFC და ADB) წინამდებარე გეგმის განხორციელების თაობაზე.
- SEP-ის განახლება საჭიროების შემთხვევაში (ოპერირების დაწყებიდან 2
- წელიწადში, ამის შემდგომ რაიმე ცვლილების შემთხვევაში).

მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძირითადი კომპონენტებია. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ექვემდებარება შიდა მონიტორინგს. სოციალური გუნდი ოთხი წევრისგან შედგება და ახორციელებს:

- ინფორმაციის გასაჯაროვებას და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან
- საჩივრების აღრიცხვასა და მათ მოგვარებას
- ადგილობრივ თემებთან ჩართულობას სხვადასხვა საკითხზე.

შიდა მონიტორინგი ტარდება წელიწადში ორჯერ (SEP-ის განხორციელება, საჩივრების ჩახურვის ეფექტურობა და ა.შ.) და შედეგები მიეწოდება კომპანიის ხელმძღვანელობას, აგრეთვე კრედიტორებს. მესამე მხარის შეფასება, სოციალური მონიტორინგი არის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) აუდიტის ნაწილი.

დანართი A: საჩივრის ფორმა

საჩივრის ფორმა	
საჩივრის N (ივსება AGL-ის მიერ)	
საკონტაქტო ინფორმაცია:	სახელი და გვარი:
	მისამართი:
	ტელეფონი:
	ელ. ფოსტა:
გთხოვთ, მიუთითეთ თუ გსურთ რომ ინფორმაცია დარჩეს კონფიდენციალური:	
[გაითვალისწინეთ, რომ საჩივართან დაკავშირებით შეიძლება დაგვჭირდეს ტქვენთან დაკავშირება, თქვენი თანხმობის გარეშე არ მოხდება ინფორმაციის მიწოდება მესამე მხარისთვის]	
როგორ გსურთ დაგიკავშირდეთ მონიშნეთ	ფოსტით ტელეფონით ელ. ფოსტით
სახელი და გვარი, პირადი ნომერი [ეს გრაფა არ არის სავალდებულო]	
გთხოვთ, მიუთითეთ საჩივრის დეტალები, პრობლემის არწერა, როდის მოხდა, სად და რამდენჯერ.	
თქვენ მიერ შემოთავაზებული მოგვარების გზები, თუ კი გაქვთ?	
როგორ წარადგინოთ	მისამართი: ბათუმი ბაგრატიონის ქ. 129 6010
	შუახევი ჰესი
	ელ. ფოსტა: inguli.davitadze@agl.com.ge ან info@agl.com.ge
ხელმოწერა	თარიღი